


— ეგ ერთი მოსწავლე გუაგთ მოჸინავე?
 — არა, გაბონო, ეგ უველაჸე ჩამორჩენილია,
 მაგრაგ მთელს კლასში მარტო მას აჸვს სახელ-
 მელვანელო.

№ 17 (1363) სექტემბერი 1971

საქსუ

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კაპ



— ამ ახალგაზრდაზე არავის უთხრია და ხუთიანი როგორ დავუწეროთ? — ჯობს დავუწეროთ, თორემ სულ გაგვიფუჭებს რამონტს.

საგამოცდო რია-რია

როდესაც დედაქალაქში
სუნთქვა ჭირს სიცხის აღმურით,
გაიკრიფება მთა-ზღვანზე
დიდი-პატარა საგზურით...
ოდეს მამვრალნი წლის შრომით
სულს იბრუნებენ ჩეროში,
მაშინ ეწყებათ კრიზისი
ყმაწვილებს საქართველოში.
ვინაც შეიგრძნო, შეიტკბო,
დავითის სიბრძნე ყოველი:
„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი...“
ნასწავლთა ზვედრი საღვთოა,
ქალაქია თუ სოფელი!..
ეს ასე იყო მუდამაჟამს,
ოდით მოსულა, რაც არი:
ზოგ შვილი თვალსჩინია,
ზოგიც თვალზეში ნაცარი!..
ჰოდა, იწყება სიგოე,
ტანჯვა, გამოცდომანია,
ნერვიულობა, სიშლეგე,
მშობელთა ასატანია!..
დაიდგრებიან, მოდიან
ოხვრა-კვნესით და ქაქანით,
თბილისისაკენ მოჰქრებიან
თვითმფრინავით, თუ მანქანით,
(ზოგიც რკინიგზას მოჰყვება,
ხალხით სავსეა ბაქანია!..)
გოჭები, ხაჭაპურები,
„ეს ღვინო ოხერ-ტალი...“
ყოველის მხრიდან გაისმის
ტელეფონების წკრიალი!..
— „არ გადამრიო, სოლომონ!
შენს იმედზეა ბლანა!..
კაცი იყავი, მეგონა,
სხვას რას მიკეთებ მაქანა!..
— რაიო, ბოშო, რაიო?!
მითხარი, რას იტყვი?
ხუთიანებს თუ მიიღებს,
შენ რაღა ჭირად მჭირდები?!“
ეგერ ვილაცას, დამთხვეულს,

ძმა მიუჯაჭვავს ყურმილზე...
კაცს ყურებიდან გაჟონავს
მის ღრიალსა და ყვირილზე:
— „თავიდან იყავ ლობიო-
დონდლო, უნდილი, გლახაკი!..
ალარ მახსენო, ძამიაგ,
ჩემთვის მკვდარი ხარ, აკაკი!..
„ძმა-ძმისთვის, ყაზილარო“,
მამამ გასწავლა ჩიჩინით...
თუმცა შენ კაცს რას არგებდი,
ძალი მოკალი შიშშილით!..
თავს პროფესორად აცხადებ,
ფერი ქე დაგკრავს ბაცია;
პატიოსნებით ტრაბახობ,
სიცხემიც ქეჩა გაბავია!..
მთელი გურია გეძახით
უსარგებლოს და უკეთურს...
რამ გაგაბდლა, ძამია,
ვაი შენს პატრონს, უბედურს!..“
ვით იმერელი ფხიკინა,
გურულიც უცხად კუჭდება,
სამაგიეროდ მეგრელი
მოუვლის, არ გაფუჭდება!
— „ქო, სკანი გოლუაფირო,
ფაცია ვორექ, კანკია!..
ფარა ქო მილუ, ჭირიმა,
არც ოქრო-ვარჩხილ მაკლია!..
ქო, აშო სტაჟი უღლდას,
ისიც თან მოაქვს, იცოდე,
თუ გულით არ დაეხმარო,
ორივეს ცოდვით იწვოდე!..
ართ ძღაბი მიუნს, გიჩქუნო,
მაგას მოუკვდა დედიკო...
სხვას კილო გამოგიგზავნი,
რაც ახლა მოაქვს, ბე იყოს!..“
ასე გაისმის, ნიდაგ,
დღე ზანტია და უღვივი...
ზოგს ცოდნა მოაქვს თბილისში,
ზოგსაც დედ-მამის ფულები!

ლევან მილორავა

საშუალო და არასრული საშუალო სკოლები რომ
სპეციალისტებს არ ამზადებენ, ეს მოსწავლეებზე იცის,
მაგრამ ყოფილა თურმე ისეთი სკოლა, სადაც ყოველ-
გვარი სასკოლო კურსის გავლის გარეშე შეუძლია
სრულიად უპროფესიო ადამიანს გარკვეული პროფე-
სიის პროფესიული სპეციალისტი გახდეს. ქვემოთხსენ-
ებული სკოლის ეს უნიკალური მეთოდი არა მარტო
სპეციალისტებად ქცეულ მოქალაქეებისათვისაა ხელ-
საყრელი, მას გარკვეული ეკონომიური სარგებლობა
მოაქვს სკოლის ზოგიერთი პერსონალისათვისაც. ახ-
ლოს გავცანი რა ამ სკოლის მუშაობას, მიზნად და-
ვისახე გავაცნო რესპუბლიკის სკოლების დირექტორებს
ქვემოთხსენებული სკოლის გამოცდილება და ამით
ხელი შევეწყუო ამ რაციონალიზატორული გამოგონე-
ბის მასობრივად დანერგვის საქმეს.

გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძეში არის 8
წლიანი სკოლა. სხვა პერსონალთან ერთად სკოლას
ჰყავს დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე და
დამლაგებლები.

— პატივცემულო დირექტორო, — უთხრა ერთხელ
სკოლის დირექტორს თომა ლუკავას სამეურნეო ნა-
წილის გამგემ მენგვარდ ვესტხოლმა, — არ გეცო-
დებათ ეს ჩვენი დამლაგებლები? ბოლოს და ბოლოს,
რა პროფესიაა დამლაგებლობა?!

— ამით რისი თქმა გინდა, ბიჭო? — დაეჭვდა დი-
რექტორი.

— მართალია, ამ ხანში შესულ ადამიანებს სკოლის
მერზე ვეღარ დავსვამთ და თავიდან ვეღარ დავაწყე-
ბინებთ სწავლას, მაგრამ ცოტა ხომ მაინც უნდა და-
ვაწინაუროთ.

— რას ამბობ, არ მესმის.

— ყური მიგდეთ, ბატონო დირექტორო. აგერ არ-
დადეგები ახლოვდება. სკოლას რემონტი სჭირდება,
ხომ ასა? ჰოდა, საჭიროა დავეიწრაოთ ხურები, მე-
ბათქაშეები, მღესავეები, მღებავები და სხვა სპეცი-
ალისტები. გვეკითხებით, ამ რაღაც სამუშაოების გა-
კეთება შეუძლიათ თუ არა ჩვენს დამლაგებლებს?

— ისინი ხომ სპეციალისტები არ არიან?

— საქმეც მაგაშია, დამლაგებლებს სპეციალისტე-
ბად ვაქცევთ. გარდა ამისა, გასამრჯელოს შინაურუ-
ლად, შეღავათიან ფასებში გადავუხდით, ცოტა „მა-
ყარიასაც“ ვაკისრებინებთ. აი, იღვა! მოგწონთ?

— მერე და, შეძლებენ? — იკითხა დირექტორმა.

— იატაკის გაწითლებასა და მერხების გაშავებას
რა უნდა!

— ჩვენც რომ გავაწვითოთ და გავაშავოთ?

— ჯაგრი ნუ გაქვთ, ბრივადირობას მე გავუ-
წვე დამლაგებლებს...
და სამეურნეო ნაწილის გამგე საქმეს შეუდგა.

პატივცემულო მეითხველო ანუ სკოლების დირექ-
ციის წარმომადგენლებო, თქვენ ყურადღებას ნუ მი-
აქცევთ იმ ხარვეზებს, რომლებიც დამლაგებლებს-სპე-
ციალისტებს გაეპარათ მუშაობაში. მთავარი ის
არის, რომ დამლაგებლებმა ყოველგვარი სასკოლო
კურსების გავლის გარეშე აიძაბლეს კვალიფიკაცია
და სპეციალისტებად იქცნენ.

ახლა გადავხედოთ იმ „მაყარიას“, რომელიც სა-
მეურნეო ნაწილის გამგემ აღუთქვა დირექტორს დამ-
ლაგებლებზე გასაცემ გასამრჯელოდან. თუმცა ჩემი
ცნობა რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, ამ საკითხზე
თვით ვესტხოლმის წერილობით განმარტებას მოვი-
ყვან:

„...5 დამლაგებელზე გაციემული იქნა სულ 434
მანეთი და 37 კაპიკი. უწყისში თვითიულ დამლა-
გებელს გამოეწერა 70 მანეთი და 07 კაპიკი, სოლო
ხელზე მიეცა თვითიულს 63 მანეთი და 93 კაპიკი,
თვითიულისაგან დაკავებული 6 მანეთი და 33 კაპიკი
ხელშეკრულების (?) თანახმად უნდა გამოევეყნებია
სამუშაოში, მაგრამ ეს საზეიმო შეხვედრა დღემ-
დე არ შემდგარა და აღნიშნული თანხა ინახება ჩემ-
თან“

მსგავსი „ხელშეკრულებების“ თანახმად დამლაგე-
ბლებს 6,8,10 მანეთი უქვითებოდათ 1970 წლამდე.
1970 წელს კი...
— ხელის ქირას რატომ არ გვაძლევთ? — ჰკითხეს
ხელმძღვანელებს გასამრჯელოს დაგვიანებით შეწუ-
ხებულმა თანამშრომლებმა, — რას გვერჩით უბრა-
ლო დამლაგებლებს?

— რაო, რა სთქვით? — იყვირეს სკოლის გამგემ-
ლებმა, — ვინ თქვა, რომ თქვენ დამლაგებლები ხართ,
წლების მანძილზე თქვენს დასატატებაზე ვხრუნავთ.
თქვენ, სპეციალისტებო კი ისევ დამლაგებლებს უწო-
დებთ თავს, გრცხვენოდეთ!

— მერე და, სპეციალისტებს ხელფასი არ გკუთვ-
ნით? — გაბედეს მათ. მაგრამ ამ კითხვაზე მათთვის
პასუხი აღარავის გაუცია.

გაიოზ შავჩერაშვილი

შოქმენი: ვარდენი. პარასკევა და მეორე-კლასელი გიგლა.

გიგლა (შემობრბის ოთახში და გაიძახის) — პაპუჩიო! მამუჩიო!

ვარდენი — რა იყო, ბიჭო, გამიხეთქე ყურის ბარაბახი?

პარასკევა — ასე რამ გაგახარა, დედა გენაცვალოს?

გიგლა — დღეს რუსულ ენაში პირველი გაკვეთილი ჩავგიტარეს. რა აღვილი ყოფილა რუსული ენა!

ვარდენი — რა შეგასწავლეს, შვილო?

გიგლა — კლასნაია კომნატას აღწერა.

პარასკევა — ჩემთვის რომ ეკითხათ, პირველ გაკვეთილს ჟილაია კომნატით დაეწყო. ბავშვი კლასში კი არ დაბადებულა, ოჯახში დაიბადა და ჯერ ოჯახური გარემო უნდა გააცნონ რუსულად.

ვარდენი — საქმეც იმაშია, ჩემო პარასკევა, რომ ოლია მასწავლებელი ოჯახზე მალა სკოლას აყენებს.

პარასკევა — იმიტომ უვარგა კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის და იმიტომ დავდივარ კიდევ მშობელთა კრებაზე.

ვარდენი — აყოშკას რა ჰქვია, ჩემი ბიჭი?

გიგლა — ავრო.

პარასკევა — შკაფს?

გიგლა — შკაფ.

ვარდენი — სტოლს?

გიგლა — სტოლ.

ვარდენი — პოლს?

გიგლა — პოლ.

პარასკევა — უი, სენი წილიმე! სტაქანს რა ჰქვია, შვილო, სტაქანს?

გიგლა — სტაქან.

ვარდენი — სტაქანს და სხვა პასუხად სტალავოს აღწერის დროს შეასწავლიან, შე ქალო! ბარემ სპალნაც ათარგმნიე ახლა ბავშვს!

გიგლა — სპალნას რუსულად სპალნა ჰქვია, პაპუჩი.

პარასკევა — უი, ცემი სიცოცქლე, უი ცემი სიქალული. ამ დილით ყველაფერი ჩააწყვე სუმკაში?

გიგლა — სამ ზნაეშ, პაპ...

პარასკევა — ისე შეგირცხვა ცხვირი, ფერადი კარანდაშები და კრასკა დავგიწყებია.

ვარდენი — არითმეტიკის წერაში რა მიიღე?

გიგლა — სამი.

ვარდენი — რატო, შე პაღლეცო?

გიგლა — პერო... გამიფუჭდა... (ტირის)

პარასკევა — რას უყვირი, კაცო. ბავშვს? არ იტირო, დედა გენაცვალოს! ხვალ პაპუჩი ავტორუჩკას გიყიდის. მე მანეთიანს გაჩუქებ და პერერიზე პაღუშკა კამფეტები და ბუღკი იყიდე! ახლა ზალა არ დამისვარო, ისე შედი კლადავოში, პაპუჩის შავი ტუფლი გამოიტანე და საპოქნიკს მიურბენინე გასაპაჩინებლად! (გიგლა გარბის).

ვარდენი — ჩვენს ლაპარაკს რომ ვუკვირდები, პარასკევა, ქართველ კაცს არ უნდა გაუჭირდეს რუსული ენის შესწავლა

პარასკევა — მოყვა ახლა ბოდვას. დღესაც ოტკა გადახუხე, ხომ? ის გირჩევენია, დაურეკე ოლია მასწავლებელს, პირველ პარტაზე დააჯინონ ბავშვი!

ვარდენი — რა უნდა პირველ პარტაზე? რომელი გლუხონემოი და ბლიზარუკი მყავს მაგი?


პარასკევა — დოუზვანოკე-მეთქი, კაცო!

ვარდენი — რა გინდა, ქალო, იმ ქალისაგან! ხომ ხედავ, ბავშვს რა აღვილად აუთვისებია ახალი საგანი.

პარასკევა — სამაგიეროდ ძველში ჩამორჩენილია.

ვარდენი — რომელში?

პარასკევა — ქართულში!



— აი, შვილო, მავნიტოფონს გატან სკოლაში. ახლა მაინც ვეღარ იტყვი, საშინაო დაკავებების ჩაწერა მერ მომასწარიო.



**„სუკამის სინის“
საპირველსაქვემდებრო ვაჩიანში**

— შვილი ზურაბ, საღამოს?
— ვაიშე, დედა, გავთავადი!..

იასონ დოლგაია

შუალამისას ტელეფონით მაცნობეს: ხვალ დილით მიიღებთ გამოცდას ქიმიკში, სასტიკად გაფრთხილებთ, ამის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს!

ტელეფონი დადუმდა...

დილის 5 საათზე კარებზე გაისმა მორიდებული კაკუნი:

— მე ბატონი თეიმურაზის მეზობელი ვარ! თეიმურაზს როგორ არ იცნობთ? საწყალი შალიკიე რომ გარდაიცვალა ამ ათი წლის წინ, საქელზე მაგიდები თქვენ და თეიმურაზს ერთად ამოგქონდათ მეხუთე სართულზე...

— ღრმად პატივცემულო! მე ლატაგრა დედის ნათლული ვარ! ლატაგრას როგორ არ იცნობთ? დედათქვენს წაურთმევია მისთვის საჭმრო... ლატაგრა ახლაც გაუთხოვარია და ასე თქვა, ის დაფეხვილი ქალი რომ არა, ვე გამომცდელი ახლა ჩემი შვილი იქნებოდაო...

— ბიძაჩემმა შემოთვალა, ჩემთან რომ მღეროდი გაშლილ სუფრასზე — „ნინას ყავდა ერთი შაშვიო“, — ახლა გამორიდება, რა შაშვიც ხარო...


დილის 9 საათზე, როგორც იქნა, ალყა გაფარდვიე, მაგრამ ინსტიტუტში აღარ შემიშვეს: ჩვენ შუალამისას განგებ დაგირეკეთ, არავინ გაიგოს და დილაშდევ ნახევარმა თბილისმა საიდან იცოდო.

— ტელეფონის ბრალია, ბატონო, 20 კაცი ერთად ერთგება, როცა რეკავენ.

ტელეფონი რომ ცუდად მუშაობს ამჟამად, არავინ არ დაიჯერა და ყველამ ეჭვით დამიწყო ყურება.

რომიკო მებრალიძე

მამათა და შვილთა ბრძოლა



— მამიკო, კამფეტები მიყიდე ლა!

— მამა, ველოხობელი უნდა მიყიდო!

— სიმონ, უმაღლესში როდის მაცვობ?

— ყიღუღობ თუ არა „ვოლგას“!

მკვამბაძე

ნ.ბ. კუნიანი

„იუპიტერის“ საიღუმელო

სატირული ზღაპარი

ინსტიტუტის შენობაში დიდი გამოცოცხლება იდგა. ყველას ყურადღება მიპყრობილი იყო ამ ლაბორატორიისაკენ, სადაც იდგა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რობოტი „იუპიტერი“. თანამშრომლები დიდს რილით ეპყრობოდნენ სხვა რობოტებსაც, მაგრამ „იუპიტერის“ კაბინეტში შესვლისას მათ რაღაც რელიგიური მოწიწების გრძნობა ეუფლებოდათ. იგი იყო კომპოზიტორი, მონაგარიშ-სტატისტიკოსი, კანონმდებელი, ეკონომისტ-მეგე-მაგი, ინჟინერ-მექანიკოსი და კიდევ მრავალი სხვა პროფესიისა. მაგრამ მხოლოდ მისმა პერსონალურმა მსახურებმა იცოდნენ, რომ „იუპიტერი“ იყო ამავე დროს ხულიგანიც. მაგალითად, მას ხშირად მიუწოდებია ფიქტიური კოდი თავისი მსახურებისათვის, რომელნიც მრავალ თვეს ღვინოდნენ ოფის კოდის მონაცემთა პრაქტიკაში დასაწვავად, მაგრამ გაწვდილებულნი რჩებოდნენ. ისიც ხედავდა რა ყურებჩამოყრილ, ინიციატივა-წართმეულ ადამიანებს, ხარხარებდა თავისი მეტალური, რაჩხუნა სიცილით და აზანზარებდა ლაბორატორიის კედლებს.

მაგრამ ხშირად „იუპიტერი“ იძლეოდა ზუსტ მითითებებს. მრავალჯერ იხსნა მან მეურნეობის სხვადასხვა დარგები სერიოზული კრიზისისაგან. ასე რომ, უმრავლესობისათვის მისი სიტყვა კანონი იყო. აღარა-ეინ იწუხებდა თავს აზროვნებით, ვინაიდან „იუპიტერი“ აზროვნებდა მათ მაგიერ.


ამჟამად საქმე ის გახლდათ, რომ „იუპიტერი“ მთლიანად რატომღაც შემოქმედებით მუშაობაზე გადაერთო. მას აღარ იზიდავდა მშრალი სა-აღრიცხვო მუშაობა, ჯერ მან შექმნა 4000-მდე მუსიკალური ნაწარმოები. სპეციალისტები ამტკიცებდნენ, რომ ეს ახალი ერა იყო მუსიკაში. ისინი პრინციპულად აღარ უსმენდნენ ბეთჰოვენს, ბახს, და მხოლოდ „იუპიტერის“ ჩანაწერები ჰქონდათ სახლში. ამჯერად „იუპიტერმა“ მოინდომა „ფაუსტის“ ტიპის ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. პოემას უნდა რქმეოდა „ფაუსტი“. ამოთესვა იმას მოსწავებდა. რომ ნაწარმოები უნდა ყოფილიყო „ფაუსტზე“ უფრო „ღრმა“. „იუპიტერმა“ წინასწარ მოითხო-ვა ყველა ინფორმაცია ვითვის შესახებ, თარიღები, ფაქტობრივი მა-სალები, გადაყლაბა ეს ყოველივე და რამდენიმე დღეში მოინილა თავისი უზარმაზარი ცისტერნისდარი მუცლით, სადაც მას მონელებული ჰქონდა მთელი მსოფლიო ლიტერატურა. შემდეგ შეზანზარდა, არახრახდა და დააფინანს თავისი მეტალური ხახა. კაბინეტში ათამდე პროფესორი შეგ-როვილიყო და თვალს ადევნებდნენ იუპიტერის ყოველ მიხრა-მოხრას. „იუპიტერი“ კიდევ რამდენჯერმე დაიძაბა, არახრახდა, ადგანდგარდა, მაგრამ კოდი არსად იყო, ბოლოს ვადმოყარა რაღაც ინფორმაცია, სადაც ასოების უწყესრიგო შექუჩვებისა და მათემატიკური სიმბოლოების მეტი არაფერი იყო. „ამას მომავალი საუკუნეები გაიგებენ“, სთქვეს მეცნიე-რებმა... ბოლოს რობოტი მთლად გათავხედდა: თავისი სინთეტური შუ-შის თვალები დააბრიალა, დაბერა თუნუქის ნესტოები, აღმართა თავისი ზამბარებიანი, დრეკადი ფოლადის მკლავები, მოჰკიდა ხელი იქვე კუთ-ხეში მდებარე უზარმაზარ რკინის ცოცხს და დაერია პროფესორებს. გააგებულ კერპის მორჩილი ქურთუმები წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ ბედავდნენ. ხოლო კერპმა მოინდომა მათი გახვეტა ლაბორატორი-იდან. მცირეც, და პროფესორების საქმე ცუდად იყო, მაგრამ მოსამსა-ხურე პერსონალმა შეამტვრია ლაბორატორიის კარები. იქვე აღმოჩნდა ინსტიტუტის მანქანის მძღოლი, რომელმაც შესძახა: „შეხეთ, შეხეთ, სა-კონტროლო მოწყობილობის ჭანჭიკები აქვს მოშვებული, იმიტომაც ასეთ ამბავში“. შემდეგ პროფესორების დაუკითხავად მოიტანა მანქანის და-საქოქი რკინის ხელკეტი, უთავაზა რობოტს ალუმინის თავში და იქვე გააშეშა. პროფესორები მუხლებზე დაცვიდნენ რაღაც ამაზრუნის მო-ლოდინში. მძღოლმა მოიტანა ინსტრუმენტები, მოუჭირა რობოტს ყვე-ლა ჭანჭიკი, შემდეგ თავის ქალას ალუმინი გაუსწორა ჩაქუჩით და თავის ადგილზე დააყენა. იმ დღიდან რობოტს აღარც უცდია მხატვრული ნა-წარმოებების „შექმნა“, აღარც ლიტერატურისმცოდნეობით შეუწუხებია თავი. იგი ეწეოდა მეტად ნაყოფიერ და სასარგებლო საადრიცხო მუ-შაობას. პროფესორებმა კი მძღოლს სასამართლოში უჩივლეს და 1 წლის ციხე მისაჯვედნენ. ამ ამბავმა ძლიერ აღაშფოთა ინსტიტუტის დანარჩენი პერსონალი, ხოლო პროფესორები წამდაუწუმ იმეორებდნენ:

„ის, რაც „იუპიტერს“ ეპატიება, ხარს არავინ აპატიებს“. თან ჩუმ-ჩუმად გლოვობდნენ საყვარელი კერპის „შემოქმედებით კრიზისს“.




ნ.ბ. ჯ. ლოლუასი

— უფროსო, სად მივყავს ეს გავში?
— სოჭში ნაყინის საჭმელად, გაცილებით იაფი ჯდება.



ნ.ბ. ბ. ფირსანაშვილი

— ჩემო ოფელია, თუ მართლა გიყვარვარ, ღამითც მთელ მუცელს უარს განქორწინებავ.



— რაც ჩვენი მემოგელი გეოლოგი პენსიოში გავიდა, მუს-ვენება აღარა გვაქვს, სახლშიც ნათეს მქვებს.

ზვიად გამსახურდია

უარნით დაპიარები

დრო მიფრინავდა სწავლაში,
ბურთაობაში,
ცურვაში...
და, როცა იონჯასავით
ამიბიბინდა უღვაში,
დღე ერთი იყო და ცხრაჯერ
ჩამჩიჩინებდა მშობელი:
„რომ არ ჩამმწარდეს რძლისაგან
ეს ტუბილი წუთისოფელი,
მეირთე ცოლად დაშენკა,
ტუჩზე ღიმშეუშრობელი“.
სამი ღლის შემდეგ, როცა ჭერს
ბზარავდა ღხინის ფინალი,
ცოლი აფეთქდა: „აქ თქვენი
დასაცუნარი ვინ არის?“
გაგფითრდი: „ხომ არ გაგიყდი,
რას ბოდავ, არა გრცხვენია?“
„შენ ბოდავ, გაგიყებულნი
დამჩენარი დედაშენია!“
ხმას აუწია: „ტუ გინდა,
ტავზე ტმა შერჩეს დედაშენს,
აკაურობას მოვშორდეტ,
სხვაგან ვიცხოვროტ მე და შენ“.
გამჩენი ღმერთის გინებას
რა ბიჭი ვადავყლაპავდი,
ენაგესლიან პატარძალს
ავუკარ გულა-ნაბადი.
მალე ჩვენს სახლში ქეთინოს
ხვდა წილად დაშას ადგილი,
მეორე ცოლიც პირველ ცოლს
ჰგავდა, ვით ასკილს ასკილი.
ქეთინო: „მიკვირს, დედაშენს
ნაკლს რომ ვერ ამჩნევთ შვილები,
აუტანელი ჩვევა აქვს,
ბავშვებით უყვარს ტუბილები.
რალა დროს მაგის მოდაა,
და წარმოდგენის ყურება.
მაგის საქმეა ოჯახის
წევრების მომსახურება!“
„რაც შენ დედაჩემს მოსწონდი,
სახლში დატოვე ზრდილობა?
რად გავიწყლება, რომ ბოლოს
რძალს რჩება დედამთილობა?!“
ბოლმისგან აცხცხებულს
ალარ მყოფნიდა ჟანგბადი,
მეორე ცოლსაც ავუკარ
სახლიდან გულა-ნაბადი.
ბოლოს ქნარტკა შევირთე,
მსხვილწვივება და მსხვილტანა,
ღმერთმა ჩემი მტრის ოჯახშიც
ნუ შეიყვანოს მისთანა.
ქნარიკ: „მითხარი, ჯიგარო,
დამნაშავე ვარ რამეში?
რა ჭირი უნდა დედაშენს,
ბნელა მთვარიან ღამეში?
შენი ბრალია, ეგ მტერი
მანამდე თუ არ მიცნობდა,
რომ არც პოვრობა ვიცოდი,
არც კიდევ უბოროშიცობა!“
როგორ შემეძლო, ასეთი
ცოლისთვის გულის მინდობა,
მასაც გაგვიცილდი, ოჯახში
ეკლაი დავამყარე მშვიდობა.
მგლის ნაკბენივით მაჩნია
გულს სამი ნაიარევი,
მეოთხე ცოლის საძებნად
მე ფარნით დავიარები!

ქიშვარდ ისაბაძე

იასონ ალექსანდრეს ძე გერსამია



„ნიანგის“ რედაქციის კოლექტივმა მძიმე დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველი მწერალი, პოპულარული ჟურნალისტი იასონ ალექსანდრეს ძე გერსამია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს კორესპონდენტად აფხაზეთში.

იასონ გერსამია დაიბადა 1912 წლის 18 მარტს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, გლეხის ოჯახში. მძიმე შრომითი გზა განვლო, მრავალ პასუხსაგებ თანამდებობას მიაღწია... ბავშვობაში ფიზიკურად მუშაობდა, მიიღო იურიდიული განათლება, იყო სა-

ხელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკი, „საქჩაის“ ტრესტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი, „ტუვარჩელქვანახშირის“ მმართველის მოადგილე, საქ. სსრ პროკურორის თანაშემწე, სოხუმის ტუვა-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი, „ტუვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მმართველის მოადგილე, აფხაზეთის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე, საქ. სსრ სამომხმარებლო კომპერაციის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე...

1989 წლიდან იგი სკკ წევრია. მონაწილეობს დიდ სამამულო ომში. იმსახურებს მთავრობის რამდენიმე ჯილდოს.

ეს უმდიდრესი ცხოვრებისეული და საბრძოლო გამოცდილება მწერალმა თავისი შემოქმედების მთავარ თემად აქცია და საინტერესო მხატვრული ნაწარმოებები შექმნა.

იასონ გერსამიას პირველი წერილები, ნარკვევები და ფელეტონები 1938 წლიდან იბეჭდებოდა. მებრძოლი პუბლიცისტი და ჟურნალისტი აქტიურად თანამშრომლობდა აფხაზეთში — „პრავდა“, „ტრუდ“, „სელსკაია ჟიზნი“, „ლიტერატურნაია გაზეთა“, „გუდოკ“, ჟურნალებში — „კროკოდილი“, „ნიანგი“.

იასონ გერსამია სამაგალითო იყო კოლეგებისათვის მებრძოლი ტემპერამენტით, მძაფრი პოლემისტური ნიჭით, თავისთავადობით, ბუნებრიობითა და უშუალობით.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იასონ გერსამია მუშაობდა ჟურნალ „კროკოდილის“ კორესპონდენტად ამიერკავკასიაში, იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის ბიუროს წევრი, ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, განუწყვეტელი და მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა „ნიანგის“ რედაქციასთან.

მალე იასონ გერსამიასათვის სამოცი წელი უნდა მიგველოცა. რაოდენ გულსატკეპია, რომ მისი საყვარელი „ნიანგი“ მეგობრული შარჟისა და სალაღობო სტრიქონების ნაცვლად, დღეს მასზე ნეკროლოგს აქვეყნებს...

გულმხურვალე მამულიშვილი, მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში მდგარი ჟურნალისტი, პრინციპული და პირდაპირი, უშურველი და ულაღატო მეგობარი, უკომპრომისო და ქედმოუხრელი ვაჟაკი... ასეთად წავიდა იასონ გერსამია ჩვენგან და ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

„ნიანგის“ კოლექტივი.



ახალი სიგჷვა საზიჯო მუხნეობაში

ქართული შრიფტის მოდერნიზების საკითხზე უანგაროდ მუშაობენ მარნეულის „Пиво-безалкогольный“ ქარხნის ხელმძღვანელები.

თქვენ ამ სურათზე ხედავთ თუ რა ახლებურადაა მიგნებული ქართულ ასოთა მოხაზულობა: „ლ“ და „დ“, აქ ერთგვარად დაუდევარ მანერაშია გადაწყვეტილი, ხოლო „უ“ სრულიად ორიგინალურადაა დანახული, იგი „შ“-ს წააგავს.

ახალი შრიფტის შემქმნელი ენთუზიასტები არ მორიდებიან სიმორს და ეს ნიმუში შეუკვეთით ქალაქ ტულაში (?) „კომუნარების“ სახელობის სტამბისათვის.

უდავოა, რომ ტულელმა სტამბის მუშაკებმაც თავისი „წვლილი“ შეიტანეს ამ საქმეში.

ამრიგად, როდესაც მწყურვალი ადამიანები მარნეულის ლუდს ჩამოასხამენ, ისიც უნდა იცოდნენ თუ სად ჩამოასხეს შრიფტის ეს ახალი ვარიანტი, იცოდნენ, რომ ეს არის: ლუდი — უიგულევისა, ქარხანა — მარნეულისა, სტამბა — ტულისა.

ტექსტი ქართული შრიფტისათვის
დაგვარ-დადაბულია



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:

- ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი),
- ს. კლდიაშვილი,
- ნ. მაღალონი,
- ბ. ნიშნაშვილი (მთავ. რედ. მოადგილე),
- ნ. შველიძე,
- ო. ზელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი
პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нянги».
თელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-19-32.

საერთო განყოფილების
93-10-78.

სამ. კვ ცვ-ის ბაზოგეგ-
მლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწობად
12/VIII-71 წ.

ხელმოწერილია დასა-
ბამლად 7/IX-71 წ.

ჭალაღდის ზომა
70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,

საარტიფიკო-საბაზოგე-
გლო თაბახი 1.4.

სამ. კვ ცვ-ის ბაზოგეგ-
მობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეკვ. № 2900.

უი № 02130.

ტირაჟი 127.250.



1971



ქრონიკული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76137

ქრეჩი ხელეჩის ეროვნულ-განმათავისუფლებული ჯიქოლის ურონტი

71-592



სუდანის ამბები წარმოადგენს იმის
ცდას, რომ ძირი გამოუთხარონ არაბი
ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი
ბრძოლის ფრონტს.

„სუ-დანის“ ამბები.

საქართველოს
საბჭოთა
კომუნისტური
პარტია

ს. ა. ლომიძის